ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

პავლე აბაიაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

თეა ჭეიშვილი – კოლეგიის წევრი

ნელი ვარდიაშვილი – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.01.2017

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 002/17

შეკითხვა:

2016 წლის 01 სექტემბრიდან დასაქმებული ვიყავი, როგორც კომპანიის იურიდიულისა და შესაბამისობის უფროსი (კომპანიის შიდა იურისტი) კომპანია X-ში. მისაღები შრომის ანაზღაურებიდან ჩამერიცხა მხოლოდ სექტემბრის თვის შრომის ანაზღაურება. 2016 წლის 09 დეკემბერს კი დირექტორიდან მივიღე მეილი, რომ კომპანიას ჰყავს რამდენიმე მოვალე, რომლისგანაც ელოდება შემოსავალს, ამ შემოსავლის მიღებამდე ვერ მომცემს შრომის ანაზღაურებას და იძულებულია შეწყვიტოს ჩემთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება. კომპანიის დირექტორი არის ასევე ამ კომპანიის 80 % მფლობელი, კომპანიას ჰყავს ასევე მეორე დამფუძნებელი, რომელიც ფლობს 20 %.

მე, ჩემის მხრივ, გაფრთხილების 2 წერილი გავუგზავნე კომპანიის დირექტორს, როგორც კომპანიის წარმომადგენელს და ასევე მეორე წერილი როგორც პირადად გამჭოლი პასუხისმგებლობის მქონე პირს, რომელიც არ მოიქცა კეთილსინდისიერად, ვინაიდან მისი ქმედება და მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია დასაქმებისას არ იყო სიმართლესთან შესაბამისი. გაფრთხილების წერილით განვუსაზღვრე შრომის ანაზღაურების ჩასარიცხად 2 კვირიანი ვადა. მის მიერ მეილზე მოწერილი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა არ ვიცი რამდენად შეიძლება ჩაითვალოს შრომითი ურთიერთობის დასრულებად, მაგრამ ამ ფაქტს პრინციპში სადავოდ არ ვხდი, რადგან ამ კომპანიაში დასაქმებას ჩემთვის აზრი მაინც არ აქვს. წერილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, სავარაუდოდ, დავიწყებ სასარჩელო წარმოებას შრომის ანაზღაურების მისაღებად.

კომპანიის მეორე დამფუძნებელმა, რომელიც არის 20 %-ის მფლობელი წელს მომმართა თხოვნით, რომ გამერკვია მის უფლებებში. წესდების და კანონის შესაბამისად ამეხსნა, როგორ ხდება მოგების

განაწილება კომპანიაში, ფინანსურ ანგარიშებთან აქვს თუ არა უფლება ჰქონდეს წვდომა და ა.შ. 20 % წილის მფლობელი მიიჩნევს, რომ კომპანიის 80 %-ის მფლობელმა კომპანიის მოგებიდან მიიღო იმაზე დიდი წილი ვიდრე უნდა მიეღო და 20 %-ის მფლობელს არ ჩაურიცხა ის თანხა რაც ეკუთვნოდა. 20 % მფლობელი მთხოვს, რომ ვიყო მისი წარმომადგენელი იურისტი.

მაინტერესებს, ზემოაღნიშნული ჰიპოთეტური მაგალითის რომელიმე ეტაპზე ხომ არ აქვს ადგილი ეთიკის კოდექსის დარღვევას და ასევე თუ დავთანხმდები 20 % წილის მფლობელის წარმომადგენლობას ამით ხომ არ დავარღვევ ეთიკის კოდექსს ან ხომ არ მექნება ინტერესთა კონფლიქტი?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლი:

„1. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

2. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც:

ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.

ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.

3. ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში.

5. ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.“

დისციპლინური კოლეგია აღნიშნავს, რომ ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს ადვოკატის მიერ ერთ საქმეში რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობა, თუ აღნიშნული კლიენტების ინტერესები ერთმანეთს არ შეესაბამება.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №015/10 მიუთითა: „კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა

საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის და დროის არსებობის შემთხვევაში. კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ- ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესს."

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, განსახილველია ორი შემთხვევა - ადვოკატის მიერ საკუთარი ინტერესების წარმოდგენა სახელფასო დავალიანებასთან მიმართებით და ადვოკატის მიერ 20% წილის მფლობელი პირის ინტერესების წარმოდგენა.

კოლეგია, ადვოკატის მიერ საკუთარი ინტერესების წარმოდგენასთან მიმართებით აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტი არ იარსებებს, ვინაიდან, როგორც შეკითხვაში მითითებულია, კომპანიამ არ შეასრულა სახელშეკრულებო ვალდებულება სახელფასო ანაზღაურების გადაცემასთან მიმართებით და, აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი, როგორც ხელშეკრულების მხარე, რომელსაც მიადგა ზიანი, იცავს საკუთარ უფლებებს. ეს მისი კონსტიტუციური უფლებაა და აღნიშნული არ წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს. ადვოკატს შეუძლია მსგავსი სახით არა მარტო სახლეფაწსო დავალიანების, არამედ განაცდურის მოთხოვნაც. თავისთავად, ადვოკატმა, დავის წარმოების შემთხვევაში, უნდა დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები.

შესაბამისად, განსახილველია საკითხი, იარსებებს თუ არა ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე მეორე შემთხვევაში - კომპანიის შიდა იურისტი, რომელიც, ამავდროულად, ადვოკატია, წარმოადგენს 20%-ის მფლობელ პირს.

დისციპლინური კოლეგია, შეკითხვის განხილვისას ითვალისწინებს ეთიკის კომისიის განმარტებას 2014 წლის 08 იანვრის სარეკომენდაციო გადაწყვეტილებაში (№012/14), რომლის მიხედვით „იურისტი, რომელიც არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ექცევა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულირების სფეროში. პროფესიის მაღალი სტანდარტებიდან და ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, ადვოკატზე პროფესიული ეთიკის ნორმების მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს, არამედ ადვოკატი მისი სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკა, რაც მოიცავს არა მხოლოდ საადვოკატო საქმიანობას, არამედ ადვოკატის სტატუსის მქონე პიროვნების ქმედებებს, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს პროფესიას, შესაბამისად, ვალდებულია იზრუნოს პროფესიულ იმიჯზე და კორპორაციულ ავტორიტეტზე."

ეთიკის კომისიამ 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №002/14, განმარტა: ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი მიზნიდან გამომდინარე, პირს, რომელიც არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატის სტატუსი ბოჭავს იმ პროფესიული სტანდარტით, რომელიც მას ეკისრება, როგორც არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის წინაშე, არამედ, როგორც პროფესიის წარმომადგენელს. ეთიკის კოდექსი ადვოკატს ავალდებულებს არა მხოლოდ კლიენტის კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობას, არამედ პროფესიისადმი საზოგადოების მხრიდან პატივისცემასა და სანდოობის მოპოვებას. (იხ. ეთიკის კოდექსის პრეამბულა)..."

შესაბამისად, დისციპლინური კოლეგია განიხილავს შეკითხვაში დასახელებული პირის - კომპანიის შიდა იურისტის ქმედებას, როგორც ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმებით შეზღუდული პირის ქმედებებს.

მნიშნელოვანია, 20%-ს მფლობელი პირის წარმომადგენლობისას განისაზღვროს, თუ ვინ იქნება მოპასუხე მხარე, ამ პირის მიერ დავის წარმოების შემთხვევაში. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების შესაბამისად, მოგების განაწილების, დივიდენდის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს საერთო კრებას. შესაბამისად, მოპასუხე მხარე, მსგავს შემთხვევაში არის საწარმო - 20%-ის მფლობელი პირის პრეტენზია მიემართება საწარმოს. ამიტომ, დავა იწარმოებს საწარმოს წინააღმდეგ.

დისციპლინური კოლეგია განმარტავს, რომ ასეთი წარმომადგენლობის განხორციელებისას შესაძლებელია არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. თუნდაც საწარმოსა და ადვოკატს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა ჩაითვალოს შეწყვეტილად, მაინც სავარაუდოა დროში შეუზღუდავი ვალდებულების - კონფიდენციალობის პრინციპის მოვალეობის დარღვევის შესაძლებლობა ადვოკატის მხრიდან, რაც თავისთავად, წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას. ვინაიდან, სიტუაციიდან გამომდინარე, განსახილველი საკითხები შეეხება ისეთ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატმა მიიღო კომპანიის იურისტის მოვალეობების განხორციელებისას, ადვოკატმა, სავარაუდოდ, უარი უნდა განაცხადოს 20%-ის მფლობელი პირის წარმომადგენლობაზე.

დასკვნა:

შეკითხვაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ საკუთარი უფლებების დაცვა - სახელფასო დავალიანების მოთხოვნა წარმოადგენს მის კონსტიტუციურ უფლებას და ადვოკატის მიერ აღნიშნული ქმედების განხორციელება არ წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას. თუმცა, ადვოკატმა, სავარაუდოდ, უარი უნდა განაცხადოს 20%-ის მფლობელი პირის წარმომადგენლობაზე, ვინაიდან მოპასუხე მხარეს წარმოადგენს საწარმო, რომლის იურისტიც არის/იყო ადვოკატი. მიუხედავად იურისტის სტატუსისა, მასზე, როგორც კომპანიის იურისტზე, ადვოკატის პროფესიის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, ვრცელდება ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმები. თუნდაც საწარმოსა და ადვოკატს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა ჩაითვალოს შეწყვეტილად, მაინც სავარაუდოა დროში შეუზღუდავი ვალდებულების - კონფიდენციალობის პრინციპის მოვალეობის დარღვევის შესაძლებლობა ადვოკატის მხრიდან, რაც თავისთავად, წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში, როგორც ერთ-ერთ წყარო.

კოლეგიის თავმჯდომარე: /პავლე აბაიაძე/

კოლეგიის წევრი: /თეა ჭეიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნელი ვარდიაშვილი/